



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 843

2016 წლის 9 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებას
„აუქციონატორის“ განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N699 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. განისაზღვროს, ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებას „აუქციონატორი“, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზებას.

მუხლი 2. ბრძანების პირველი მუხლის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებას - „აუქციონატორის“ უფლებამოსილება განახორციელოს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხთა დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების“ უფროსმა ივანე ყაველაშვილმა (პ/ნ25001006857).

მუხლი 3. „აუქციონატორმა“ თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას იხელმძღვანელოს, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N699 დადგენილებით.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:

კარლო ჯამბურია